

1. საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს/მეცნიერ თანამშრომლებს მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე სტატიების გამოქვეყნებაში, რაც გულისხმობს, წინამდებარე წესის შესაბამისად, სამეცნიერო პუბლიკაცი(ებ)ისათვის პრემიის გაცემისა და ჟურნალის შერჩევის პირობების განსაზღვრას.
2. სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში, პრემიის მისაღებად აუცილებელია შემდეგი 2 წინაპირობის დაკმაყოფილება:
 - სტატიაში ავტორს ან თანაავტორს მითითებული ჰქონდეს აფილიაცია საქართველოს უნივერსიტეტთან;
 - პუბლიკაცია გამოქვეყნებული ან მიღებული იყოს Elsevier-ის Scopus-ის ბაზაში შემავალ ჟურნალში;
3. სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში, პრემიის ოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი სამი პარამეტრი:
 - რა პოზიციაზეა ჟურნალი შესაბამისი დარგ(ებ)ის ჟურნალებს შორის;
 - როგორია ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების ფარდობითი (დარგზე ნორმალიზებული) ციტირებადობის განაწილება;
 - ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების რა წილია ციტირებადობით თავისი დარგის სტატიების ტოპ 10%-ში.
4. სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში, პრემიის ოდენობის გამოთვლა ხდება შემდეგი ფორმულის მეშვეობით (ხელზე ასაღები რაოდენობა, ლარებში): $1,000*(A+B+C)$, სადაც A, B, C მესამე პუნქტში ნახსენები სიდიდეები.
კერძოდ:
A არის ჟურნალის პერცენტული საკუთარ დარგში (მაგალითად, თუ ჟურნალი დარგის ტოპ 5% პროცენტშია, შესაბამისი პერცენტული არის 0.95; თუ ტოპ 35%-შია, შესაბამისი პერცენტული არის 0.65)
B არის ჟურნალში გამოქვეყნებული ცალკეული სტატიების პერცენტულების (ციტირებადობის მიხედვით) კვადრატების საშუალო (ეს სიდიდეები ასევე მერყეობს 0-დან 1-მდე).
C არის ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებს შორის ისეთი სტატიების წილი, რომელიც ციტირებადობით შედის თავისი დარგის ტოპ 10%-ში (ეს სიდიდეც ასევე მერყეობს 0-დან 1-მდე).
5. სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისას, პრემია გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ მე-3 და მე-4 პუნქტით განსაზღვრული სამი პარამეტრის შეჯგერების შედეგად ჟურნალის რეიტინგი შეადგენს მაქსიმალური შესაძლო რეიტინგის არანაკლებ 20%-ს.
6. სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის პრემიის მიღების მიზნით, ავტორი/თანაავტორი მიმართავს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს შუამდგომლობით (დანართი N 1); შესაბამისი უფლებამოსილი პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ: 1. ავტორზე/თანაავტორზე უნდა გაიცეს პრემია და უთითებს პრემიის შესაბამის ოდენობას. 2. ავტორს/თანაავტორს პრემია არ ეკუთვნის.

7. სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის პრემიის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შუამდგომლობის ფორმა შესაბამისი რეზოლუციით ეგზავნება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს/იურიდიულ სამსახურს. იურიდიული სამსახური ამზადებს ბრძანებას სამეცნიერო პუბლიკაციისათვის პრემიის გაცემის შესახებ; ბრძანება შესაბამისი ხელმოწერების უზრუნველყოფის მიზნით ეგზავნება კანცელარიას, რომელიც ბრძანებას აცნობს ფინანსურ სამსახურს; ფინანსური სამსახური უზრუნველყოფს პრემიის შესაბამისი ოდენობის გაცემას.